„ხელოვანი ხელოვნებისათვის“

ხელოვნება ნიჭიერი ადამიანის მიერ სამყაროს შემოქმედებითი აღქმის გამოხატულებაა, თუმცა მისი მნიშვნელობა ბევრად სცილდება ინდივიდუალურ საზღვრებს. რაც შემოქმედის გონებასა და სულში იბადება, საბოლოოდ კაცობრიობის საერთო სულიერ საგანძურად იქცევა. სწორედ ამიტომ ხელოვნება ერთდროულად პირადიცაა და საყოველთაოც — ის ეკუთვნის ერთს, მაგრამ ეკუთვნის ყველას.

ხელოვნებას არ გააჩნია დრო, სივრცე, ენა თუ ეროვნება. იგი ადამიანებს უხილავი ემოციური ძაფით აკავშირებს და საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებს თავის ძალას. ხშირად, როდესაც დიდ შემოქმედებას ვეხებით, ვგრძნობთ, რომ მისი ბოლომდე გააზრება შეუძლებელია — თითქოს ვდგავართ იმ სიღრმის წინაშე, რომლის ბოლომდე ჩაწვდომაც გონებას უჭირს, მაგრამ გული მაინც აღიქვამს. სწორედ ამაშია ხელოვნების განსაკუთრებული ძალა: ის არ საჭიროებს სრულ ლოგიკურ ახსნას, რადგან პირველ რიგში ემოციებით გველაპარაკება.

ადამიანი ყოველთვის ცდილობდა გაეგო სამყარო და საკუთარი ადგილი მასში. ეს სურვილი გახდა ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. ხელოვნება რეალობიდან იღებს სათავეს, მაგრამ მასში იძენს სულიერ, ზოგჯერ ირეალურ განზომილებას. იგი არ არის უბრალოდ რეალობის ასახვა — ეს არის მისი გადამუშავება, გააზრება და ამაღლება.

ამ იდეის ნათელი გამოხატულებაა დიდოსტატის მარჯვენა. ამ ნაწარმოებში ხელოვნება წარმოდგენილია, როგორც უზენაესი ღირებულება, რომლისთვისაც ადამიანი მზად არის საკუთარ ბედსაც კი შეეწიროს. არსაკიძე, როგორც შემოქმედი, ქმნის ტაძარს, რომელიც მხოლოდ არქიტექტურული ნაგებობა კი არა, არამედ მისი სულიერი სამყაროს ანარეკლია. ტაძარი რეალურ სივრცეში არსებობს, მაგრამ ამავე დროს იგი იდეალის, სრულყოფილების და ადამიანის უკვდავი სწრაფვის სიმბოლოა. აქ ნათლად ჩანს, რომ ხელოვნება სცილდება მატერიალურობას და გარდაიქმნება სულიერ ფასეულობად. ამასთან, ნაწარმოები გვაჩვენებს, თუ რამდენად მტკივნეული და რთულია შემოქმედის გზა — ხელოვნება ხშირად მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ამ მსხვერპლის შედეგად იქმნება ის, რაც საუკუნეებს უძლებს.

ხელოვნების ემოციური და შინაგანი ძალა ასევე განსაკუთრებულად ჩანს მეწყერი-ში. ერთი შეხედვით, ლექსი ბუნებრივ მოვლენას — მეწყერს აღწერს, თუმცა სინამდვილეში იგი ბევრად უფრო ღრმა აზრს ატარებს. მეწყერი აქ გარდაიქმნება ადამიანის შინაგანი მდგომარეობის სიმბოლოდ — ქაოსის, დაძაბულობის, ტკივილისა და შეუჩერებელი ემოციური აფეთქების გამოხატულებად. ტაბიძე ბუნების სტიქიას იყენებს იმისთვის, რომ ადამიანის სულიერი მდგომარეობა გადმოსცეს. მკითხველი ამ ლექსში არა მხოლოდ ხედავს სურათს, არამედ გრძნობს იმ ძლიერ ემოციებს, რაც მასშია ჩადებული. სწორედ ეს არის ხელოვნების ძალა — ის გვაიძულებს სხვისი განცდები საკუთარად ვაქციოთ.

ხელოვნება ამგვარად მოქმედებს ადამიანზე: იგი აყალიბებს მის გრძნობებს, ავითარებს მის ესთეტიკურ გემოვნებას და ზემოქმედებს მის მორალურ ფასეულობებზე. იგი გვასწავლის სამყაროს სხვაგვარად დანახვას, გვაიძულებს დავფიქრდეთ, შევიგრძნოთ და გავიაზროთ ის,

რაც ყოველდღიურობაში ხშირად შეუმჩნეველი გვრჩება. ხელოვნება გვიახლოვებს სრულყოფილებასთან, რადგან ის აფართოებს ჩვენს შინაგან სამყაროს.

ქეთი იკოშვილი